საქართველო

30598-01-2-201708181648

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/30598
18/08/2017

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ **ალექსანდრე ბარამიძეს**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ნინო ბერძულს**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს
ბატონ **გენადი არველაძეს**

პატივცემულო კოლეგებო,

როგორც თქვენთვის არის ცნობილი, ამერიკის შრომის ფედერაციის და ინდუსტრიული ორგანიზაციების კონგრესის (American Federation of Labor and Congress of Industrial Organizations/AFL-CIO) მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილია პეტიცია დასაქმებულთა უფლებების შესახებ. ამასთან გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26-27 სექტემბერს, ჩანიშნულია GSP-ის პროგრამასთან დაკავშირებული მოსმენა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლის (USTR) ოფისში საქართველოს, ბოლივიის, ეკვადორის, ინდონეზიის, ტაილანდის, უკრაინის, უზბეკეთის, ერაყისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ შეტანილი პეტიციების თაობაზე. პეტიციის განხილვის შედეგად, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისი მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და სხვადასხვა ქვეყნების GSP-ის სტატუსის გაგრძელების, ან შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://www.regulations.gov/document?D=USTR_FRDOC_0001-0425.

ზემოაღნიშნულ ქვეყნების წარმომადგენლებს, ისევე, როგორც მათ წინააღმდეგ პეტიციის ინიციატორებს, აქვთ საშუალება მიმდინარე წლის 12 სექტემბრამდე გააკეთონ კომენტარები, რომელსაც USTR-ი მოსმენაზე განიხილავს. საყურადღებოა, რომ აქამდე მხოლოდ ბოლივიის წინააღმდეგ შეტანილი პეტიციის განხილვა იგეგმებოდა, თუმცა, ახალი გადაწყვეტილების თანახმად, შედგება სხვა ქვეყნების პეტიციის განხილვაც.

ხსენებულ განხილვაზე საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ის აკმაყოფილებს GSP-ის პროგრამის კრიტერიუმებს. აღსანიშნავია, რომ პეტიციის ბოლო განხილვა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისში 2016 წლის იანვარში გაიმართა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩო გეგმავს შეხვედრების გამართვას AFL-CIO-სა და USTR-ის GSP-ის ქვეკომიტეტის წარმომადგენელთან, რათა მიიღონ ინფორმაცია, თუ რა მოლოდინი შეიძლება, ჰქონდეს ქართულ მხარეს როგორც AFL-CIO-ს, ისე USTR-ის მხრიდან.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარე წლის 12 სექტემბრამდე, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, ქართული მხარის კომენტარის მომზადებას ზემოხსენებულ ბმულზე მოცემული ინფორმაციის თანახმად. ასევე, გთხოვთ, საჭიროებისამებრ, განიხილოთ აშშ-ში თქვენი უწყების წარმომადგენლების ვიზიტი დაგეგმილ მოსმენაზე დასწრების მიზნით.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე